

ხელშეკრულება

№ 43

(ავტოტექნიკური მომსახურების და საქონლის მიწოდების შესახებ)

ქ.თბილისი

2022 წ.

ერთი მხრივ ქედის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მისი მერის როლანდი ბერიძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“) და მეორე მხრივ სს „ფრანს ავტო“ წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, გიორგი ფალიანის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების შესახებ (შემდგომ „ხელშეკრულება“)

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის დავალებით, შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსრულებლის მიერ შემდეგი სახის მომსახურების გაწევა: მხარეთა შორის შეთანხმებული პერიოდულობით ან/და დამკვეთის საჭიროებისამებრ, დამკვეთის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის, ავტოტექნიკური მომსახურების გაწევა, საჭიროებისამებრ ავტოსათადარიგო ნაწილებითა და სხვა მასალით უზრუნველყოფის ჩათვლით (შემდგომში „მომსახურება“) ან/და დამკვეთისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების, აქსესუარებისა და დეტალების მიწოდება, ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის (შემდგომში „საქონელი“).
- 1.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება შემდეგ ავტომობილზე **Renault DUSTER** სახ ნომერი **WW091IW**
- 1.3. გასაწევი მომსახურებისა და ავტონაწილების ჩამონათვალი და ფასი მოცემულია დანართ #1-ში, რომლიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

შემსრულებელი ვალდებულია

- 2.1. სამუშაო შეასრულოს სრულად და ჯეროვნად, შეთანხმებული ხარისხისა და აღიარებული სტანდარტის დაცვით მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადებში.
- 2.2. სამუშაოს შესრულების პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის შენიშვნები გონივრულობისა და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

დამკვეთი ვალდებულია

- 2.3. მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადებში მიმწოდებლისაგან მიიღოს გაწეული ხარისხის მომსახურება ან/და მიწოდებული საქონელი მათთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტთან ერთად.
- 2.4. გადაიხადოს გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის საზღაური მხარეთა შორის შეთანხმებული წესითა და პირობებით.
- 2.5. მომსახურების მიღებისას განახორციელოს ავტომანქანის შემოწმება და კონტროლი პირადად ან გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

3. მომსახურების ფასი და ანგარიშსწორების წესი

- 3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1600 (ერთიათასექვსასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
- 3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
- 3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადახდო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
- 3.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1 შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მერიის მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების გაწევის ადგილია

ქ. თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის #34

ქ. ბათუმი, ბაქოს #35

5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში) მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულებების შესაბამისი ღირებულების 0.05%-ის ოდენობით.

6.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. გადაუხდელი თანხის 0,05 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ თავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

57 ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებების დადგომით, კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, სტიქიური უბედურებით, ხანძრით, გაფიცვით, საომარი-სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტებით ან ქმედებებით და სხვა. (ფორსმაჟორული გარემოებები).

7.2. მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორსმაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

7.3. თუ ფორსმაჟორული გარემოებების დადგომისას დამკვეთს მიღებული აქვს გაწეული მომსახურება ან/და საქონელი დამკვეთი ვალდებულია შესაძლებლობის ფარგლებში, განახორციელოს ანგარიშსწორება გაწეული მომსახურების ან/და მიღებული საქონლის სანაცვლოდ.

7.4. თუ ფორსმაჟორული გარემოებები გაგრძელდა 90 (ოთხმეცთვე) დღეზე მეტხანს, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე და არცერთ მხარეს არ ექნება მეორე მხარისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

8.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, მხარეთა ის ნაკისრი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რჩება ძალაში მათ სრულ შესრულებამდე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის 20 (ოცი) დღით ადრე დასაბუთებული შეტყობინების გაგზავნით.

8.4. ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებები მხარეებმა უნდა შეასრულონ სრულად და ჯეროვნად ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე, თუ მხარეთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული.

8.5. ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა საფუძველი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2(ორი) თანაბარი ძალის მქონე იდენტურ ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემათ მხარეებს.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენას.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება წერილობითი ფორმით მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც დადასტურებული უნდა იქნას მხარეთა ხელმოწერით.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. მხარეთა რეკვიზიტები

| | |
|---|--|
| შემსყიდველი ქედის მუნიციპალიტეტი მისამართი: დ. ქედა, მ. კოსტავას ქ. #3 საიდ. კოდი 246762061 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ანგ. № GE24NB0330100200165022 მერი როლნდი ბერიძე | მიმწოდებელი სს "ფრანს ავტო" მისამ. ქ. თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის #34 ს.კ.236098165 ბანკი: საქართველოს ბანკი ანგ. ნომ: GE25BG0000000254559400 გენერალური დირექტორი: გიორგი ფალიანი |
|---|--|

საგარანტიო ავტომანქანის სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების განფასების ცხრილი

ა/მანქანის მარკა მოდელი რენო დასტერი 1.5 დიზელის ძრავით

| № | სათადარიგო ნაწილების დასახელება | გარბენი | ერთეულის ფასი | რაოდენობა | მომსახურების ფასი | შენიშვნა |
|----|---------------------------------|-----------|---------------|-----------|-------------------|-------------------------|
| 1 | ძრავის ზეთი (კასრის) 5 ჰ40 | 3 000 კმ | 25 | 5 ლიტრი | 15 | პირველი შეცვლა 3 000 კმ |
| 2 | ზეთის ფილტრი | | 35 | 1 ცალი | | |
| 3 | ძრავის ზეთი (კასრის) 5 ჰ40 | 8 000 კმ | 25 | 5 ლიტრი | 15 | ყოველ 8 000 კმ |
| 4 | ზეთის ფილტრი | | 35 | 1 ცალი | | |
| 5 | ჰაერის ფილტრი | 16 000 კმ | 75 | 1 ცალი | 15 | ყოველ 16 000 კმ |
| 6 | წინა სამუხრუჭე ხუნდა | | 230 | 1 კომპ | 15 | |
| 7 | უკანა სამუხრუჭე ხუნდა | | 240 | 1 კომპ | 80 | |
| 8 | სალონის ფილტრი | | 85 | 1 ცალი | 20 | |
| 9 | ძრავის ღვედი დამჭიმით | 60 000 კმ | 380 | 1 კომპ | 170 | ყოველ 60 000 კმ |
| 10 | დინამოს ღვედი დამჭიმით | 60 000 კმ | 390 | 1 კომპ | 50 | ყოველ 60 000 კმ |
| 11 | გადაცემათა კოლოფის ზეთი | 60 000 კმ | 40 | 1 ლიტრი | 20 | ყოველ 60 000 კმ |
| 12 | ხიდის ზეთი | 60 000 კმ | 40 | 1 ლიტრი | 20 | ყოველ 60 000 კმ |
| 13 | საწვავის ფილტრი დიზელის | 40 000 კმ | 210 | 1 ცალი | 40 | ყოველ 40 000 კმ |
| 14 | სავალი ნაწილის შემოწმება | | | | 10 | |
| 15 | ხელის მუხრუჭის რეგულირება | | | | 40 | |
| 16 | წინა საყრდენი დისკი | | 480 | 1 კომპ. | 80 | |
| 17 | წინა საყრდენი დისკის მოხეხვა | | | 1 კომპ. | 80 | შლიფოვკა |
| 18 | უკანა საყრდენი დისკი | | 870 | 1 ცალი. | 60 | |
| 19 | უკანა საყრდენი დისკის მოხეხვა | | | 1 ცალი. | 60 | შლიფოვკა |
| 20 | ბურთულა სახსარი (შარავოი) | | 95 | 1 ცალი. | 50 | |

| | | | | | |
|----|---|-----|----------|-----|--------|
| 21 | დაკიდების ბერკეტის მილისა (წინა გიტარის ვტულკა) | 55 | 1 ცალი. | 35 | |
| 22 | თვლების ნახარის რეგულირება | | | 50 | |
| 23 | გაბარიტის ნათურა (დიდი) | 15 | 1 ცალი | 5 | |
| 24 | გაბარიტის ნათურა (პატარა) | 5 | 1 ცალი | 5 | |
| 25 | ახლოს მაშუქი ნათურა | 15 | 1 ცალი | 5 | |
| 26 | შორს მაშუქი ნათურა | 15 | 1 ცალი | 5 | |
| 27 | სანისლე ფარის ნათურა ჰ 16 | 95 | 1 ცალი | 20 | |
| 28 | სანისლე ფარის ნათურა ჰ 11 | 55 | 1 ცალი | 20 | |
| 29 | უკანა სტოპის ნათურა | 10 | 1 ცალი | 10 | |
| 30 | მოხვევის მაჩვენებლის ნათურა | 10 | 1 ცალი | 10 | |
| 31 | სალონის სტოპის ნათურა | 10 | 1 ცალი | 5 | |
| 32 | სამუხრუჭე სითხე | 25 | 0.5 ლიტრ | 160 | 2 წელი |
| 33 | ანტიფრიზი | 35 | 1 ლიტრი | 40 | 2 წელი |
| 34 | ანტიფრიზის შემოწმება | | | 5 | |
| 35 | მაცივარ აგენტი (ფრეონი) | 25 | 100 გრ. | 50 | |
| 36 | შეჭიდების ქურო დისკი | 870 | 1 კომპ. | 450 | |
| 37 | მოჭიდების საკისარი | 680 | 1 ცალი | 450 | |
| 38 | საბურავის დისკის გასწორება მარტივი | | 1 ცალი | 15 | |
| 39 | საბურავის დისკის გასწორება საშუალო | | 1 ცალი | 25 | |
| 40 | საბურავის დისკის გასწორება რთული | | 1 ცალი | 45 | |
| 41 | საბურავის მოხსნა-დაყენება | | 1 ცალი | 3 | |
| 42 | საბურავის დაშლა-აწყობა | | 1 ცალი | 6 | |
| 43 | საბურავის ბალანსირება | | 1 ცალი | 6 | |
| 44 | საბურავის შეკეთება მარტივი | | 1 ცალი | 10 | |
| 45 | საბურავის შეკეთება საშუალო | | 1 ცალი | 20 | |
| 46 | საბურავის შეკეთება რთული | | 1 ცალი | 50 | |
| 47 | წინა საქარე მინის ვაიპერი | 195 | 1 კომპ. | 10 | |

| | | | | | | |
|----|---|--|------|---------|-----|--|
| 48 | უკანა საქარე მინის ვაიპერი | | 95 | 1 ცალი | 5 | |
| 49 | საქარე მინის ყინვა საწინააღმდეგო სითხე | | 20 | 1 ლიტრი | 2 | |
| 50 | საყვირის და შუქების ჩამრთველი სახელური | | 450 | 1 კომპ. | 60 | |
| 51 | საყვირი | | 135 | 1 ცალი | 40 | |
| 52 | ელ; სისტემის დიაგნოსტიკა | | | | 30 | |
| 53 | ელ; შუშების ამწევი და ჩამომწევი ღილაკი | | 295 | 1 ცალი | 40 | |
| 54 | ელ; სისტემის შეკეთება მარტივი | | | | 60 | |
| 55 | ელ; სისტემის შეკეთება საშუალო | | | | 120 | |
| 56 | ელ; სისტემის შეკეთება რთული | | | | 200 | |
| 57 | ელ; სისტემის პროგრამირება | | | | 350 | |
| 58 | ჭვარტლის მარეგულირებლის (დროსელის) ინსტალაცია | | | | 150 | |
| 59 | გამონაბოლქვში ჭვარტლის მარეგულირებელი (დროსელი) | | 2280 | 1 ცალი | 250 | |
| 60 | ჭვარტლის ფილტრის სარეცხი სითხე | | 95 | 1 ცალი | 150 | |
| 61 | ამძრავი (სტარტერი) | | 1670 | 1 კომპ. | 120 | |
| 62 | ამძრავის მოხსნა-დაყენება | | | | 120 | |
| 63 | ამძრავის დაშლა-აწყობა | | | | 70 | |
| 64 | ელ; გენერატორი | | 2350 | 1 კომპ. | 180 | |
| 65 | ელ; გენერატორის (რელე + ჩოთქები) | | 870 | 1 ცალი | 80 | |
| 66 | ელ; გენერატორის დაშლა-აწყობა | | | | 80 | |
| 67 | წინა ბამპერის მოხსნა-დაყენება | | | | 140 | |
| 68 | შესადუღებელი სამუშაო მართივი | | | | 30 | |
| 69 | შესადუღებელი სამუშაო საშუალო | | | | 120 | |
| 70 | შესადუღებელი სამუშაო რთული | | | | 200 | |
| 71 | უკანა დაკიდება (უკანა შტანგა) | | 360 | 1 ცალი | 60 | |
| 72 | უკანა დაკიდების მილისა (უკანა შტანგის ვტულკა) | | 95 | 1 ცალი | 40 | |
| 73 | წინა დაკიდება (წინა | | 465 | 1 ცალი | 80 | |

| | | | | | | |
|----|--|--|------|--------|-----|--|
| | გიტარა) | | | | | |
| 74 | წინა დაკიდების მილისა (წინა გიტარის ვტულკა) | | 55 | 1 ცალი | 40 | |
| 75 | მაყურის გოფრე | | 160 | 1 ცალი | 80 | |
| 76 | მაყურის მოხსნა- დაყენება | | | | 140 | |
| 77 | მაყურის სამაგრი რეზინის ბალიში | | 135 | 1 ცალი | 25 | |
| 78 | წინა მორგვის საკისარი (წინა სტუპიცის საკისარი) | | 230 | 1 ცალი | 80 | |
| 79 | უკანა მორგვის საკისარი (უკანა სტუპიცის საკისარი) | | 215 | 1 ცალი | 70 | |
| 80 | წინა ამორტიზატორი | | 360 | 1 ცალი | 70 | |
| 81 | უკანა ამორტიზატორის | | 330 | 1 ცალი | 70 | |
| 82 | წინა ამორტიზატორის ბალიში | | 95 | 1 ცალი | 70 | |
| 83 | წინა ამორტიზატორის ბალიშის საკისარი | | 95 | 1 ცალი | 70 | |
| 84 | წინა ამორტიზატორის დამცავი-რგოლი (ადბოინიკი) | | 95 | 1 ცალი | 70 | |
| 85 | უკანა ამორტიზატორის დამცავი-რგოლი (ადბოინიკი) | | 95 | 1 ცალი | 70 | |
| 86 | ამორტიზატორის ზამბარა | | 230 | 1 ცალი | 70 | |
| 87 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა | | 95 | 1 ცალი | 35 | |
| 88 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი უკანა | | 85 | 1 ცალი | 25 | |
| 89 | წინა სტერჟინი | | 140 | 1 ცალი | 35 | |
| 90 | უკანა სტერჟინი | | 135 | 1 ცალი | 30 | |
| 91 | წევა (უდარნი ტიაგა) | | 140 | 1 ცალი | 50 | |
| 92 | წევა მტვერდამცავი(უდარნი ტიაგის პილნიკი) | | 90 | 1 ცალი | 50 | |
| 93 | წევის დაბოლოვება (ნაკანეჩნიკი) | | 135 | 1 ცალი | 30 | |
| 94 | გადაცემათა კოლოფის დამლა-აწყობა | | | | 350 | |
| 95 | ძრავის ბალიში (დიდი) | | 395 | 1 ცალი | 120 | |
| 96 | გადაცემათა კოლოფის ბალიში ქვედა | | 190 | 1 ცალი | 30 | |
| 97 | გადაცემათა კოლოფის ბალიში ზედა | | 230 | 1 ცალი | 80 | |
| 98 | ჰიდრავლიკის ნასოსი | | 3765 | 1 ცალი | 240 | |
| 99 | ჰიდრავლიკის ნასოსის (შკივის გადაპრესვა) | | | | 80 | |

| | | | | | | |
|-----|--|--|------|---------|-----|--|
| 100 | ჰიდრავლიკის სითხე | | 35 | 1 ლიტრი | 30 | |
| 101 | კონდენციონერის რადიატორი | | 1680 | 1 ცალი | 120 | |
| 102 | წყლის რადიატორი | | 1270 | 1 ცალი | 130 | |
| 103 | ტურბინის რადიატორი | | 1490 | 1 ცალი | 120 | |
| 104 | სალონის ფეჩის რადიატორი | | 780 | 1 ცალი | 450 | |
| 105 | ტორბედოს მოხსნა-დაყენება | | | | 400 | |
| 106 | წამყვანი ღერძის კომპლექტი (პოლიუსი) | | 1890 | 1 კომპ. | 80 | |
| 107 | წამყვანი ღერძის მტვერდამცავი გარე (პოლიუსი პილნიკი) | | 115 | 1 ცალი | 80 | |
| 108 | წამყვანი ღერძის მტვერდამცავი შიდა (პოლიუსის პოლნიკი) | | 95 | 1 ცალი | 120 | |
| 109 | წამყვანი ღერძის საკისარი | | 250 | 1 ცალი | 120 | |
| 110 | წინა (ხიდის მოხსნა-დაყენება) | | | | 250 | |
| 111 | წინა (ხიდის) ჩობალი № 1 | | 140 | 1 ცალი | 40 | |
| 112 | წინა (ხიდის) ჩობალი № 2 | | 140 | 1 ცალი | 30 | |
| 113 | უკანა (ხიდის) ჩობალი | | 140 | 1 ცალი | 30 | |
| 114 | უკანა (ხიდის) საკისარი | | 140 | 1 ცალი | 40 | |
| 115 | გადაბმულობა (კარდანი) | | 1980 | 1 კომპ. | 80 | |
| 116 | უკანა (ხიდის) მოხსნა-დაყენება | | | | 350 | |
| 117 | სიჩქარის კულისა | | 1360 | 1 ცალი | 250 | |
| 118 | კონდენციონერის კომპრესორის მოხსნა-დაყენება | | | | 240 | |
| 119 | კონდენციონერის კომპრესორი | | 3580 | 1 ცალი | 240 | |
| 120 | კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება მარტივი | | | | 250 | |
| 121 | კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება საშუალო | | | | 450 | |
| 122 | კონდენციონერის კომპრესორის შეკეთება რთული | | | | 750 | |
| 123 | საწვავის მრფეჟევანა | | 1180 | 1 ცალი | 60 | |
| 124 | საწვავის მრფეჟევანას ინსტალაცია | | | 1 ცალი | 50 | |
| 125 | საწვავის ტუმბო | | 1590 | 1 ცალი | 120 | |

| | | | | | | |
|-----|---|--|---------|---------|------|---|
| 126 | საწვავის ავზის და სისტემის გამორეცხვა | | | | 350 | |
| 127 | უკანა სამუხრუჭე ავზი (ბაჩოკი) | | 290 | 1 ცალი | 80 | |
| 128 | სამუხრუჭე ხუნდების სამაგრი | | 180 | 1 ცალი | 10 | |
| 129 | ხელის მუხრუჭის (ტროსი) | | 160 | 1 ცალი | 80 | |
| 130 | მშრალი ამორტიზატორი (სუხოი) | | 760 | 1 ცალი | 120 | |
| 131 | ევაკუატორის მომსახურება ქ.თბილისის ტერიტორიაზე | | 20 ლარი | 1 კმ | 3.60 | გამოძახება 20ლარი+ყოველი 1 კმ 3.60 თეთრი |
| 132 | ევაკუატორის მომსახურება რეგიონებში | | 20 ლარი | 1 კმ | 2.60 | გამოძახება 20 ლარი + ყოველი 1 კმ 2.60 თეთრი |
| 133 | მინების დამუკება მარტივი | | | | 250 | |
| 134 | მინების დამუკება საშუალო | | | | 350 | |
| 135 | მინების დამუკება რთული | | | | 450 | |
| 136 | ქარ ამრიდი (გვერდითა შუშების წვიმისგან დამცავი) | | 580 | 1 კომპ. | 60 | |
| 137 | რეზინის ფეხსაგები | | 150 | 1 კომპ. | 0 | |